საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაბუთ ივნისს მე, ნოტარიუს ცირა ლომაიას ჩემს, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ჯალოუბნის ქუჩა N1, სართული 2, ბინა N4, მომმართა შპს „ექსინტერი"-ს (ს/კ: 206335508) დირექტორმა დავით ლილუაშვილმა. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ ნამდვილად შპს „ექსინტერი"-ს (ს/კ: 206335508) დირექტორმა დავით ლილუაშვილმა (დაბ.: 11.02.1975წ.; პ/ნ: 01026001866, რეგ.მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, III მიკრო/რაიონი, I კვარტალი, კორპუსი 1, ბინა 71) თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ს/ნ: 206335508; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B10061575, 14/06/2010 12:55:41, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ვაზისუბანი, III მ/რ კვ.I, კორპ.1 ბ.71) მომმართა. მე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა/უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში/უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, დავადგინე ნების გამოხატვის ნამდვილობა, მე შევადგინე წინამდებარე მინდობილობა და წავუკითხე მას, განვუმატრე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდეგაც სანოტარო წესით დავადასტურე წინამდებარე

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, დავით ლილუაშვილი, როგორც შპს „ექსინტერი"-ს (ს/კ: 206335508) დირექტორი, შემდგომში „მიმნდობი", ვენდობი გიორგი მაკარიძეს (დაბ.: 27.01.1979წ., პ/ნ: 21001001693; რეგ. მისამართზე: თერჯოლა 4 ძმის ქ. N 31), შემდგომში „მინდობილი პირი", მასზედ, რომ წარმოადგინოს მიმნდობის ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, ყველა სამინისტროში, იუსტიციის სახლში, ნებისმიერ საკრებულოში, ნებისმიერი ქალაქის მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის, არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურებში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ნებისმიერი ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებში, ნებისმიერ არქივში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ნებისმიერ სანოტარო ბიუროში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში (ქონების მართვის სააგენტოში) და განახორციელოს მიმნდობის საკუთრებაში (თანასაკუთრებაში) არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით - სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, ზონის ცვლილება, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, აიღოს მშენებლობის/მიშენების უფლების ნებართვა, სპეციალური ნებართვა, შეთანხმებული პროექტის ცვლილება, კორექტირება, მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით საჭირო ყველა ქმედების განხორციელება, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება, უზრუნველყოს მშენებლობის ჩაბარებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა, შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, დააზუსტოს ფართობი, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი, ცნობა, მოწმობა, ნახაზი, გეგმა, პროექტი, ნებართვა, განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, მოახდინოს ხაზების კორექტირება, მათ შორის წითელი ხაზების, ასევე ნებისმიერ უძრავ ქონებას გაუკეთოს (შენობა-ნაგებობებს) ლეგალიზაცია/პრივატიზაცია ან/და დასრულების და შემდგომში ლეგალიზებისათვის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს/განცხადებას/განაცხადს და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მიმნდობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ცირა ლომაიას სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს. ეს მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა, რომელმაც წამიკითხა იგი, მე მოვიწონე მინდობილობა და მოწონების დასტურად ხელი მოვაწერე მას.

დანართი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ს/ნ: 206335508; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B10061575, 14/06/2010 12:55:41;

გადახდილია 30.00 (ოცდაათი) ლარი სანოტარო მომსახურების საზღაური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საზღაური თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა, დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166–ე მუხლისა 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, სულ ჯამში 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

მიმნდობი: შპს „ექსინტერი"-ს (ს/კ: 206335508) დირექტორი

---------- დავით ლილუაშვილი

ნოტარიუსი ცირა ლომაია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14730704244224

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240791045

რეგისტრაციის თარიღი

25.06.2024 წ

ნოტარიუსი: ცირა ლომაია
მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქუჩა N1, სართული 2, ბინა N4
ტელეფონი: 598 998196

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18